ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრი **მარინე აბულაძე**

ფრაქცია ,,ახალციხე-საქართველოსთვის''

მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია.
ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი.

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის ნოემბრამდე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -10
საკრებულოს სხდომაზე დასწრება-8

სულ საკრებულოს მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისიის სხდომების რაოდენობა -7
კომისიის სხდომებზე დასწრება -7

სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა-5
ფრაქციის სხდომებზე დასწრება-5
ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სხდომა -2
სხდომაზე დასწრება-2

- **საკრებულოს სხდომაზე მხარი არ დავუჭირე შემდეგ საკითხებს:**

1. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე'' დადგენილების პროექტი.
2. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' დადგენილების პროექტი.

- **სხდომაზე წარმოდგენილი იქნა და საკრებულომ მხარი დაუჭირა ფრაქციის სახელით ჩემს მიერ 2022 წლის 28 ოქტომბერს წარდგენილ წინადადებას ,,სახალხო ბიუჯეტირების“ განხორციელების შესახებ.** აღვნიშნე რომ, წარმოდგენილ პროექტს

,,სამოქალაქო" ეწოდება, თუმცა თავისი შინაარსით ითვალისწინებს ჩემს მიერ წარდგენილი წინადადების-,,სახალხო ბიუჯეტირების" არსს.

თუმცა პროექტთან დაკავშირებით გამოვთქვი რამდენიმე შენიშვნა:

1. მიზანშეწონილად მიმაჩნია წესში განსაზღვრული იყოს პროექტის განხორციელების კონტროლისას მოქალაქის, ანუ პროექტის წარმდგენის ჩართულობის მექანიზმი.
2. სადაოდ მიმაჩნია წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის გ.ზ) ქვეპუნქტი, რომლითაც ,,იდეა არ უნდა იყოს დაფინანსებული წინა წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან'', რადგან ამ წესის თანახმად, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პროექტი უნდა შედიოდეს თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებში, შესაბამისად, გამომდინარე უნდა იყოს მოსახლეობის საჭიროებებიდან.
3. აქვე დავსვი კითხვა, თუ ბიუჯეტის რამდენი პროცენტის ოდენობით გეგმავს მერია სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელებას.

- **საკრებულოს სხდომაზე ფრაქციის სახელით წარვადგინე წინადადება მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტში სკოლებში დაწყებითი კლასების მოსწავლეთა კვებით უზრუნველყოფისათვის თანხების გათვალისწინების, სკოლის მოსწავლეების კვების ადგილობრივი წესისა და სტანდარტების შემუშავების თაობაზე.**

- **საკრებულოს მივმართე ინიციატივით 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, პრიორიტეტი მიენიჭოს მდინარეებისა და ხევების კალაპოტების გაწმენდით და ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტების განხორციელებას, განსაკუთრებით, მაღალი რისკის უბნებში. რათა მოხდეს მაღალი რისკის ზონების იდენტიფიცირება და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფა.**

საკრებულოს სხდომებზე გამოვთქვამ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, წარვადგენ შენიშვნებს, მონაწილეობას ვღებულობ კამათში, ვსვამ შეკითხებს და ვაფასებ. აქტიურად ვახორციელებ საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილებებს.

შევსების თარიღი: 20.10.2023წ.
წარდგენის თარიღი:23.10.2023 წ.